ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის საქალაქო
სამსახური

KA010104968711216

№16/32023

15 / თებერვალი / **2016** წ.

შპს დიდუბე მეგა ტრეიდი.

საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის
რაიონი, თორნიკე ერისთავის ქ., №2/4–ის
მიმდებარედ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი N32740/07 წერილის პასუხად სამსახური გაძლევთ რეკომენდაციას „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 251-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალიწინებული სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ (წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებობის ნებართვა) 22.10.2015წ. N2252114 ბრძანებით შეთანხმებული პროექტიდან გადახვევით ქ. თბილისში, სექტორი–დიდუბე, თორნიკე ერისთავის ქ. #2/4–ის მიმდებარედ/ქალაქი თბილისი, ქუჩა თ.ერისთავი, #2/4 (საკ.კოდი #01.13.06.002.030) მრავალფუნქციური შენობის თქვენი დაკვეთით მიმდინარე მშენებლობაზე შემდეგი დარღვევის გათვალიწინებით:

„1^1–25“ ფასადზე: +0,00 ნიშნულზე „1–2“ მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟის ნახატი.

„ე–ა“ ფასადზე: „დ–ბ“ მონაკვეთში შეცვლილია მანძილი აივნებსა და ლიფტის შახტებს შორის. შეცვლილია ლიფტის შახტის ვიტრაჟების ნახატი.

„ა–ე“ ფასადზე: +5,20 ნიშნულთან აწეულია ალუკობონდის მოპირკეთების დონე.

ფასადებზე ვიტრაჟების ნაწილზე გაუქმებულია ჟალუზები.

შენობაში შეცვლილია რიგელების მდებარეობა, რაოდენობა და გაბარიტები. „4/–1“ მონაკვეთში გათხელებულია ლიფტის შახტის კედლების ნაწილი. -5,60 ნიშნულზე „1/–4/“–„დ–ა“ მონაკვეთში შემცირებულია სართულის სიმაღლე და -3,14 ნიშნულზე გაუქმებულია რიგელები. „20–21“–„ა–ბ“ მონაკვეთში დაწეულია იატაკის დონე. „28–26“–„დ–ე“ მონაკევთში პანდუსის კედლებს შორის გაზრდილია მანძილი და „დ–დ“ ღერძზე, „25–24“ მონაკვეთში მოწყობილია რიგელი. -2,90 ნიშნულზე“ე–ე“ ღერძის გარეთ შეცვლილია პანდუსის გაბარიტები, მისი გადახურვის და კედლების ფორმა. „1–2“ მონაკვეთში დამატებულია კიბის საფეხური. „6–7“ მონაკვეთში შეცვლილია იატაკის ფილის ფორმა. „24–25“ მონაკვეთში დამატებულია კიბის საფეხური. +0,00 ნიშნულზე „1–2“ მონაკვეთში შეცვლილია კიბის უჯრედის იატაკის ფილის ფორმა. „3/–3/“–„დ–დ“ ღერძების კვეთასთან შეცვლილია პანდუსის გაბარიტები. „26–26“ ღერძზე „დ–ე“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია რიგელი. +5,20 ნიშნულზე „1–2“ მონაკვეთში გაზრდილია კიბის ღიობის სიგრძე. „ა–ა“ და „ე–ე“ ღერძების გარეთ გარე კედლებში მოწყობილია ლითონის სვეტები. „17–19“ მონაკევთში გაზრდილია ესკალატორისთვის განკუთვნილი ღიობის სიგანე. „25–25“ ღერძთან „ა–ბ“ მონაკევთში შემცირებულია კიბის ღიობის სიგრძე. +10,40 ნიშნულზე „19–23“ მონაკვეთში შეცვლილია

აუზის იატაკის სისქე. +15,60 ნიშნულზე „14–14“ ღერძთან დამატებულია იატაკის ფილის ნაწილი შეცვლილია კიბის მარშის მდებარეობა. „გ–გ“ ღერძის „8–8“ და „16–16“ ღერძების კვეთასთან დამატებულია ლითონის სვეტები, ხოლო „8–8“ ღერძზე ლითონის სვეტებს მონაცვლებული აქვთ ადგილი. ღია ტერასაზე გასასვლელებს მონაცვლებული აქვთ ადგილი და მათი გარე კონტურის ფორმა. „ე–ე“–„8–8“ ღერძების კვეთასთან მოწყობილია სატელიტური ანტენები. „ა–ა“ და „ე–ე“ ღერძების შიგნით გაზრდილია ფილის სიგანე. შეცვლილია აუზის გადახურვის კონსტრუქციული სქემა და დაწეულია მისი კეხის დონე.

ნაწილობრივ შეცვლილია სატრანსფორმატორო ქვესადგურის და საკონტროლო გამშვები პუნქტის ღიობების გაბარიტები და ნახატი.

შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა.

სამშენებლო ბლოკის და მონოლითური კედლები არ არის ნაჩვენები განსხვავებული ფაქტურით. ფასადის ნახაზებზე არ არის დატანილი კარის ღიობები.

დამატებით განგიმარტავთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება”.

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე